



საჩუქრეთა წიგნი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტრო**

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

13 იანვარი, 2023

წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ოთარ შამუგიას

ბატონო ოთარ,

მოგესხენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში და წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

პატივისცემით,

ცოტნე ყავლაშვილი

გენერალური აუდიტორი

ტერმინები და შემოკლებები.....	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	8
3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.....	15
საკონტაქტო ინფორმაცია.....	18

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

სამინისტროს აპარატი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი.

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

დაცული ტერიტორიების სააგენტო – სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო.

დონორების პროექტი – ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების (WB), სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის პროექტი (GEF, IFAD).

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი – სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

სატყეო სააგენტო – სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო.

სოფლის განვითარების სააგენტო – ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო.

ღვინის სააგენტო – სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო.

1. რეკომენდაციები

1.1 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 8,519,745 ლარი, რაც წარმოადგენს 2012-2014 წლებში შპს „გორის სასათბურე მეურნეობაში“ განხორციელებულ შენატანებს.¹

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით,² შპს „გორის სასათბურე მეურნეობაზე“ 2016 წლიდან მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმისწარმოება.³

2015 წლის სხდომის ოქმის⁴ თანახმად, შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ საკუთრებაში არსებული 4,105,690 ლარის ღირებულების აქტივები⁵ უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს; ასევე კომპანიის დირექტორის განმარტებით, ანგარიშის თარიღისათვის შპს „გორის სასათბურე მეურნეობა“ ფლობს მხოლოდ რამდენიმე სამეურნეო/საოფისე ინვენტარს.

მიზეზი

ინვესტიციების არასათანადო კონტროლი.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების მუხლში – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ არსებული უზუსტობები, ფინანსური დანაკარგების რისკი.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული ფულადი შენატანების ეფექტიანად განკარგვის უზრუნველსაყოფად და შესაბამისი რეაგირების მიზნით, მიზანშეწონილია სააგენტომ შეისწავლოს ინვესტიციების მიზნობრიობა, დაადგინოს რამდენად მიაღწიეს მათ თავდაპირველ მიზნებს და მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე განსაზღვროს, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული თანხები აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, მათ მიერ სამომავლოდ მოტანილი ეკონომიკური სარგებლისა და მომსახურების პოტენციალის გათვალისწინებით.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა

რეკომენდაცია

შესასრულებლად

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო.

1.2 სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვა

აუდიტის მიგნება

სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია მთლიანი სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ⁶ და შესაბამისად, აღნიშნული აქტივი არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. მიუხედავად აღრიცხვის კომპლექსურობისა და სირთულისა, საკითხი მნიშვნელოვანია როგორც სამინისტროს ინდივიდუალური, ასევე სახელმწიფოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დონეზე.

მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.

გავლენა

აქტივები შემცირებულად არის წარმოდგენილი.

¹ აღნიშნული საკითხი განხილულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

² ბოლო ცვლილების თარიღი: 06/05/2016.

³ გაკოტრების მმართველად დანიშნულია სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო.

⁴ ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (ყოფილი სოფლის განვითარების სააგენტო) გამგეობის N53 სხდომის ოქმი.

⁵ მიწის ნაკვეთები, სათბურის კონსტრუქცია, ირიგაციისა და გათბობის სისტემა და სხვა აქტივები.

⁶ სააგენტოსგან მიღებული განმარტებით, სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის საშუალებები მიმდინარეობს და ჯერ არ დასრულებულა.

რეკომენდაცია

საკითხის კომპლექსურობიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საჭიროა სამინისტროს აპარატმა და სსიპ – ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, შესაბამის მხარეებთან კოორდინაციით, შეიმუშაოს დეტალური სამოქმედო გეგმა სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვებისა და შემდგომ, მისი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვისათვის.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი;
სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო.

1.3 ინვენტარიზაცია

აუდიტის მიგნება

სსიპ – ეროვნულმა სატყეო სააგენტომ 2021 წელს ჩაატარა ინვენტარიზაცია, თუმცა ინვენტარიზაციის პროცესმა არ მოიცვა მზა პროდუქციის ნაშთები,⁷ რაც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4,434,977 ლარს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ 758,227 ლარის ოდენობის მზა პროდუქციაზე წლის განმავლობაში არ ფიქსირდება ბრუნვა, რაც შეიძლება მიუთითებდეს მარაგების გაუფასურებაზე.

მიზეზი

აქტივების არასათანადო კონტროლი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული შესაძლო უზუსტობები, ფინანსური დანაკარგების რისკი.

რეკომენდაცია

აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, სსიპ – ეროვნულმა სატყეო სააგენტომ ინვენტარიზაცია ჩაატაროს სრულად, ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო.

აუდიტის მიგნება

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს სხვადასხვა სახის კომპიუტერული პროგრამები და ლიცენზიები. ინვენტარიზაციის მიზნებიდან⁸ გამომდინარე, მნიშვნელოვანია ინვენტარიზაციის პროცესში ჩართული იყოს სპეციფიკური ცოდნის (IT ტექნოლოგიების) სფეროს სპეციალისტები.

სამინისტროს აპარატის და სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ 2021 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტები არ იყვნენ ჩართული.

მიზეზი

აქტივების არასათანადო კონტროლი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული შესაძლო უზუსტობები, ფინანსური დანაკარგების რისკი.

⁷ მერქნული რესურსი.

⁸ დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება.

რეკომენდაცია	აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, სამინისტროს აპარატმა ინვენტარიზაციის პროცესში ჩართოს IT ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტები.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი.

1.4 კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები – შრომის ანაზღაურება

აუდიტის მიგნება	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ერთ შემთხვევაში, სამსახურში გამოუცხადებლობის მიუხედავად, 2021 წლის მაის-სექტემბერში, სამუშაო დროის აღრიცხვის მონაცემებით, მასზე ფიქსირდებოდა ნამუშევარი საათები და ხორციელდებოდა ხელფასის დარიცხვა. აღსანიშნავია, რომ ფაქტი გამოვლენილია დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინსპექტირების სამსახურის მიერ. ⁹
მიზეზი	შრომის ანაზღაურების პროცესში არასათანადო კონტროლის მექანიზმები.
გავლენა	შრომის ანაზღაურების ხარჯების შესაძლო უზუსტობები.
რეკომენდაცია	შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტომ უზრუნველყოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვა.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო.

1.5 კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები – შემოსავლები

აუდიტის მიგნება	სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ 2020-2021 წლებში მოიჯარებთან ¹⁰ გაფორმებული ხელშეკრულებების ვადა ამოიწურა. აღნიშნული ხელშეკრულებების ვადები არ გაგრძელებულა, ასევე არ გაფორმებულა ახალი ხელშეკრულებები, მიუხედავად იმისა, რომ მოიჯარეები სარგებლობენ აღნიშნული ქონებით და სააგენტო იღებს შემოსავალს იჯარიდან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოიჯარეები ხელშეკრულების გარეშე სარგებლობენ სააგენტოს მიწის ნაკვეთებით, სააგენტო კი კარგავს კონტროლის ბერკეტს იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე არ გადაიხდის იჯარის თანხას.
მიზეზი	შემოსავლების მიღების პროცესში არასათანადო კონტროლის ნაკლოვანებები.
გავლენა	იჯარიდან მიღებული შემოსავლის თანხის შესაძლო უზუსტობები.
რეკომენდაცია	იჯარიდან მისაღები შემოსავლის დაკარგვის თავიდან არიდების და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, სსიპ – ეროვნულმა სატყეო სააგენტომ გააფორმოს ხელშეკრულებები მოიჯარე კომპანიებთან.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო.

⁹ 2021 წლის 16 ნოემბრის N 12952 სამსახურებრივი ბარათი.

¹⁰ შპს „ვიონი“, შპს „მაგთიკომი“ და სს „სილქნეტი“.

1.6 საწვავის ხარჯი

აუდიტის მიგნება

საწვავის ხარჯებთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზური პროცედურების შედეგად, გამოვლინდა ერთჯერადად ავტომატური ავზის მოცულობასთან შედარებით მეტი ოდენობით საწვავის ჩასხმის ფაქტები,¹¹ რაც ზრდის საწვავის არამიზნობრივად გამოყენების რისკებს; ასევე სამინისტროში ფიქსირდება შვებულებაში ყოფნის პერიოდში განპიროვნებულ ავტომატურ ავზში საწვავის ჩასხმის ფაქტები.

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს და სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, ავზის მოცულობასთან შედარებით მეტი ოდენობის საწვავის ჩასხმის ფაქტები გამოწვეულია დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით სამუშაოს შესრულების დროს სამუშაო ტერიტორიაზე სპეციალური ავზებით საწვავის გარკვეული რაოდენობის გადატანით.¹² აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროა, კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება საწვავის არამიზნობრივად გამოყენების რისკის შესამცირებლად.

მიზეზი

სამინისტროში არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები.

გავლენა

საწვავის არამიზნობრივად გამოყენების რისკები.

რეკომენდაცია

საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად განკარგვის მიზნით, სამინისტრომ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს საწვავის არამიზნობრივად გამოყენების პრევენციას და დროულად გამოვლენას. გამოვლენილ ფაქტებთან დაკავშირებით გამოიკვლიონ მიზეზები და იმოქმედონ კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო, სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო.

1.7 მიმდინარე ინვესტიციები

აუდიტის მიგნება

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიისთვის“ გაცემული სესხები, ჯამური ღირებულებით – 3,600,000 ლარი.¹³

ხელშეკრულების გაფორმებიდან პირობები რამდენჯერმე¹⁴ შეიცვალა და სესხის ძირის დაბრუნება და პროცენტის გადახდა 2022 წლის 31 დეკემბრამდე გადავადდა.¹⁵ აღსანიშნავია, რომ შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიის“ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გადაუხდია ძირისა და პროცენტის თანხები და ამავდროულად 2020 და 2021 წლები ფინანსური ზარალით დაასრულა.¹⁶

¹¹ ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო. ავტომატური საწვავის ავზის მაქსიმალური ოდენობაზე მეტი საწვავის ჩასხმის ფაქტი გამოვლინდა ჯამურად – 1,271 ლიტრის ოდენობის საწვავზე.

¹² ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიღებული ინფორმაცია.

¹³ შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიის“ 3,000,000 ლარზე გაფორმებული სესხის ხელშეკრულება (18.09.2020წ.) და სესხის ხელშეკრულების ცვლილება (28.10.2020წ.); შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიის“ 600,000 ლარზე გაფორმებული სესხის ხელშეკრულება (06.04.2020წ.).

¹⁴ ხელშეკრულებებში შეიძლება შევიდეს ცვლილება და ხესხების დაბრუნების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2022 წლის 31 დეკემბერი.

¹⁵ ცვლილება ხელშეკრულებაში (26.01.2022წ.).

¹⁶ შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიის“ N160 წერილი, 28.03.2022წ., 2020 წლის აუდიტირებულ ანგარიშგებაში

მიზუზი	დებიტორული დავალიანების არასათანადო კონტროლი.
გავლენა	ფინანსური დანაკარგების რისკი.
რეკომენდაცია	დებიტორული დავალიანების სათანადო კონტროლის მიზნით, მნიშვნელოვანია ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ შეაფასოს გაცემული სესხების მიღების ალბათობა და მათი აქტივად აღიარების საკითხი, მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო.

1.8 სუბსიდიები

აუდიტის მიზნება	ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო სოფლის მეურნეობის დარგის ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებს სხვადასხვა მიზნობრიობით, პირობებით სუბსიდიის გაცემას. სააგენტო ზემოაღნიშნული სუბსიდიის თანხას ხარჯად აღიარებს, როდესაც პროგრამის ბენეფიციარებისთვის თანხა გადაირიცხება და არა მაშინ, როდესაც პროგრამის ფარგლებში გაცემული თანხის ხარჯვის მიზნობრიობა დადასტურდება. სააგენტომ ბენეფიციარისთვის გადახდილი თანხა უნდა აღიაროს მოთხოვნად და არა ხარჯად, ხოლო გადახდილი თანხების მიზნობრიობის დადასტურების შემდეგ უნდა დაარიცხოს სუბსიდიის ხარჯი. შერჩევის საფუძველზე შესწავლილი ხელშეკრულებებიდან ზოგიერთ შემთხვევაში¹⁷ 2021 წელს ბენეფიციარისთვის გადარიცხული თანხა 2021 წლის ხარჯად არის აღიარებული, ხოლო მიზნობრიობა დადასტურებულია 2022 წლის აუდიტორული დასკვნებით ან დასკვნები საერთოდ არ არის წამოდგენილი.
მიზუზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	ფინანსურ ანგარიშგებაში სუბსიდიის ხარჯის არსებული უზუსტობები,
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ შეაფასოს მის მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში გაცემული ხელშეკრულებები პირობას შეიცავს, თუ შეზღუდვას და აღნიშნულდან გამომდინარე, აღრიცხოს გაცემული სუბსიდიის თანხა.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო.

2020 წლის ფინანსური ზარალია 26,809,017 ლარი, ხოლო 2021 წლის საცდელი ბალანსის მონაცემებით, 2021 წლის ფინანსური ზარალია 9,597,812 ლარი.

¹⁷ შპს „აგრო სტანდარდ კომპანი“, ხელშეკრულება NRDAPLG001514, (25.03.2021წ.) და შპს „ადიტ ექსპერტის“ დასკვნა, 20.01.2022წ.; შპს „ირუბაქიძე ვაინ კომპანი“, ხელშეკრულება NRDAPLG001515, 26.03.2021წ. და შპს „ადიტ ექსპერტის“ დასკვნა, 21.01.2022წ.; შპს „გოლდენ ბერი“, ხელშეკრულება NRDAPLG100012, 03.11.2021წ. და აუდიტორ ანა ოსიყმაშვილის დასკვნა, 29.06.2022წ.; შპს „ანიგოზი“, ხელშეკრულება NARDAGR000070, 28.09.2020წ. და შპს „ეკონომადიტის“ დასკვნა, 24.01.2022წ.; შპს „მატო აკურა“, ხელშეკრულება NRDAGR000048, 15.02.2021წ. და აუდიტორ ი. მადრაძის დასკვნა, 26.01.2022წ.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება

აუდიტის მიგნება

სამინისტროს აპარატის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 1,093,342 ლარის ოდენობის მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები, რომლებიც 1996-2009 წლებში ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებულ პირგასამტეხლოებს წარმოადგენს.

აღნიშნული თანხიდან 1,003,699 ლარი ეკუთვნის ერთ-ერთ კომპანიას,¹⁸ რომლისგან თანხის ამოღების ვალდებულება 2010 წელს გადაეცა სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს;¹⁹ ასევე კომპანიაზე 2018 წლიდან მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრება) საქმისწარმოება²⁰ და მის მოვალეთა რეესტრში ფიქსირდება რვა სუბიექტი.

კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი.

2.2 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს აპარატმა და სოფლის განვითარების სააგენტომ მათი მმართველობის სფეროში შემავალი კომპანიების²¹ თვითღირებულება მხოლოდ 2020 და 2021 წლების ფინანსური შედეგებით (ზარალით) დააკორექტირეს, რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციას. თვითღირებულება უნდა დაკორექტირდეს რეტროსპექტიულად – ყველა იმ წინა წლის შედეგით, რომლის განმავლობაშიც შპს ორგანიზაციის მმართველობის სფეროს ეკუთვნოდა.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი, ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო.

2.3 ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში

აუდიტის მიგნება

სამინისტროსა და შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ თანამონაწილეობით 2009 წელს დაფუძნდა ა(ა)იპ – საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი.²²

ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტების თანახმად,²³ ფონდის მიზანია კოლხეთის ეროვნული პარკის, ქობულეთის ნაკრძალის, ქობულეთის აღკვეთილის და კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა. ფონდის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა დამფუძნებელთა საერთო კრება. ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს უჭერს ყველა დამფუძნებელი.

შესაბამისად, ფონდი განიხილება, როგორც ერთობლივი შეთანხმების სუბიექტი. აქედან გამომდინარე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფონდის კაპიტალი უნდა აღიარდეს ინვესტიციად და აღირიცხოს კაპიტალ-

¹⁸ სს - სამშენებლო კომპანია „თბილისი“, ს/ნ 211752272.

¹⁹ საქმე N3/3134-08, 2009 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება.

²⁰ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, B18065117, 14.06.2018წ.

²¹ შპს „საქართველოს მელიორაცია“ 2012 წლიდან შედის სამინისტროს მმართველობის სფეროში, შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანია“ - 2012 წლიდან, ხოლო შპს „იმერეთის აგროზონა“ - 2017 წლიდან.

²² ს/ნ 215148891.

²³ დამფუძნებელთა საერთო კრება, 04.09.2009წ.; ა(ა)იპ - კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის სარეგისტრაციო განაცხადი, 19.02.2009წ.; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობა N000584, 13.09.2009წ.

მეთოდის გამოყენებით ან აისახოს განმარტებით შენიშვნებში, რაც სამინისტროს არ განუხორციელებია.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი.

2.4 ძირითადი აქტივები

აუდიტის მიგნება

სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 2021 წელს დაზღვევის მიზნებისთვის გადააფასა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაწილი,²⁴ გადაფასების შედეგები²⁵ ასახა ფინანსურ ანგარიშგებაში და 2,819,987 ლარით დააკორექტირა აღნიშნული აქტივების წლის საწყისი ნაშთები.

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს²⁶ და ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს²⁷ სახელზე რეგისტრირებულია ისეთი ძირითადი საშუალებები, რომლებიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 231,973 ლარის დაუმთავრებელი მშენებლობა, რომელზეც სააგენტომ ვერ წარმოადგინა შესაბამისი პირველადი დოკუმენტაცია.²⁸

სამინისტროს შიდა რესურსებით შემუშავებულია შვიდი პროგრამული უზრუნველყოფა, რითაც სარგებლობენ სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები. სამინისტროს არ აქვს განსაზღვრული, რა დანახარჯები იქნა გაწეული ზემოაღნიშნული პროგრამების შემუშავებისას, რის გამოც ვერ დგინდება მათი ღირებულება და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი, ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო, სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტო, სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო.

2.5 საინვესტიციო ქონება

აუდიტის მიგნება

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო ტყის ფონდის ნაწილს სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადასცემს კავშირგაბმულობის კომპანიებს.²⁹ სარგებლობის უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთები იდენტიფიცირებულია, დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და 903,861 ლარად არის შეფასებული.³⁰ სააგენტოს აღნიშნული აქტივები ასახული აქვს საცნობარო მუხლში – „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული აქტივები“, ნაცვლად „საინვესტიციო ქონების“ მუხლისა. შედეგად, „საინვესტიციო ქონების“ მუხლის თანხა შემცირებულია 903,861 ლარით.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო.

²⁴ სააგენტოს აღრიცხული აქვს 409 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება და გადაფასდა 176 ერთეული.

²⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტის დასკვნები: N569/ს, 03.09.2021წ.; N1179/ს, 02.09.2021წ.; N1989/ს, 09.11.2021წ.; N81/ს, 06.09.2021წ.

²⁶ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 28 მარტის N52303 წერილით მიღებული ინფრომაცია - 8 ერთეული მიწის ნაკვეთი: ს/კ 61.11.02.083; ს/კ 55.12.52.000.253; ს/კ 55.18.57.000.087; ს/კ 53.20.33.253; ს/კ 71.51.02.652; ს/კ 71.53.05.585; ს/კ 84.01.36.073; ს/კ 84.18.35.065.059.

²⁷ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 28 მარტის N52303 წერილით მიღებული ინფრომაცია - ექვსი ერთეული შენობა-ნაგებობა: ს/კ 51.01.60.117.01.500; ს/კ 64.23.04.173.01.500; ს/კ 65.12.32.024.01.501; ს/კ 69.08.58.209.01.520; ს/კ 62.09.58.387.01.515; ს/კ 65.12.32.024.01.500.

²⁸ ბალანსზე ირიცხება 2006 წლიდან.

²⁹ შპს „მაგთიკომი“, სს „სილქნეტი“, შპს „ვიონი საქართველო“, შპს „კავკასუს ონლაინი“.

³⁰ ინდივიდუალური აუდიტორის, თამაზ ჯანუაშვილის უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შეფასების ანგარიში, 2022წ.

აუდიტის მიგნება

სამინისტროს აპარატი და დონორების პროექტი ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, სოფლის განვითარების სააგენტოს აფინანსებს მერმევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამის განსახორციელებლად.

წლის განმავლობაში სოფლის განვითარების სააგენტოსთვის გადარიცხული თანხის აუთვისებელი ნაწილი სამინისტროს აპარატის და დონორების პროექტის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც სოფლის განვითარების სააგენტოს მიმართ არსებული დებიტორული დავალიანება, ხოლო სოფლის განვითარების სააგენტო, პროექტის ფარგლებში ჩარიცხულ სრულ თანხას შემოსავლად აღიარებს. აღნიშნული თანხა მოიცავს წლის ბოლოს დარჩენილ ნაშთსაც, რომელიც სააგენტომ ვალდებულებად უნდა აღიაროს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული დებიტორული დავალიანება სამინისტროს აპარატისთვის შეადგენს 2,939,884 ლარს, ხოლო დონორების პროექტისთვის – 954,194 ლარს.³¹

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში მითითებულია, რომ კონსოლიდირებული ანგარიშგების დებიტორული დავალიანება მოიცავს სამინისტროს აპარატის და დონორების პროექტის ზემოაღნიშნულ დებიტორულ დავალიანებებსაც და არ არის ელიმინირებული კონსოლიდაციის დროს.

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ 2021 წელს მოთხოვნების ანგარიშზე აღრიცხა 1,964,487 ლარის ოდენობის თანხა, რომელიც უკავშირდება ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო გამოწერილ ჯარიმებს. სააგენტომ აღნიშნული თანხა შემოსავლის ნაცვლად ასახა ვალდებულებებში.

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია ჯარიმების დაკისრების შედეგად წარმოშობილი 400,271 ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანება, რომელიც ამავე დროს აღრიცხულია ბიუჯეტის წინაშე დარიცხულ ვალდებულებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვალდებულებები გაზრდილია 400,271 ლარით.

სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის ბოლოს ასახულია 5,509,985 ლარის ოდენობის 1996-2009 წლებში წარმოშობილი და ლიკვიდირებული ორგანიზაციების ბალანსებიდან გადმოსული ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები, მათ შორის, გაუცემელი შრომის ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული ბიუჯეტის წინაშე დარიცხული 5,272,247 ლარის ოდენობის ვალდებულებები.³²

5,272,247 ლარიდან 3,458,354 ლარი³³ წარმოადგენს ყოფილი გარემოს დაცვის სამინისტროს ვალდებულებას, რომელზეც პირველადი დოკუმენტაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი, ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო.

³¹ დონორების პროექტის მიერ ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული შედარების აქტები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

³² ვალდებულებები „შრომის ანაზღაურების“ მუხლით შეადგენს 3,337,164 ლარს; ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები – 1,935,083 ლარს (საშემოსავლო გადასახადი – 652,118 ლარი, სხვა ვალდებულებები – 1,282,965).

³³ მათ შორის, 2,220,117 ლარი – შრომის ანაზღაურება და 1,238,237 ლარი – ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები.

2.7 შემოსავლები გრანტებით

აუდიტის მიგნება

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები დონორი ორგანიზაციებისგან იღებენ სხვადასხვა დანიშნულებით გამოსაყენებელ მიზნობრივ გრანტებს, რომელთა სრულად ათვისება ერთ საანგარიშგებო პერიოდში არ ხდება.

წლის ბოლოს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები ზემოაღნიშნული მიზნობრივი გრანტის ნაშთს – 1,849,275 ლარს, ხაზინის მიმართ მოთხოვნად აღრიცხავენ და პარალელურად, ნაცვლად ვალდებულებისა, გრანტიდან მიღებულ შემოსავლად აღიარებენ.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო, სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო, სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

2.8 შემოსავლების დროში გამოიჯვნა

აუდიტის მიგნება

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტომ 2021 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში ექსპერტიზის დასკვნის³⁴ საფუძველზე აქტივად ასახა 2018 წლიდან სააგენტოს სახელზე რეგისტრირებული³⁵ 1,390,000 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთი,³⁶ როგორც გრანტიდან მიღებული შემოსავალი, ნაცვლად წლის დასაწყისის ნაშთის კორექტირებისა.

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ 2022 წლის ბუღალტრულ მონაცემებში ასახა 304,723 ლარის ოდენობის ისეთი ჯარიმები, რომლებიც 2021 წელს იყო გაგზავნილი დაჯარიმებულ კომპანიებთან და შესაბამისად, მოთხოვნისა და შემოსავლის აღიარება უნდა მომხდარიყო 2021 წელს.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო, ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო.

2.9 აქტივების და ვალდებულებების ფლობიდან მიღებული სხვა მოგება

აუდიტის მიგნება

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს 2021 წლის დასაწყისისთვის „მიმდინარე ინვესტიციების“ მუხლში აღრიცხული ჰქონდა სს „აკურას“ 57,261,311 ლარის ოდენობის კაპიტალი.

2021 წლის რთველში ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარების მიზნით, სააგენტოს დაევალა მის მმართველობის სფეროში შემავალი შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ ხელშეწყობა.³⁷

საქართველოს მთავრობის განკარგულების³⁸ საფუძველზე, სს „აკურას“ ზოგიერთი ქონება/ფულადი სახსრები/აქტივები/დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები დაექვემდებარა შპს „მოსავლის მართვის კომპანიისათვის“ გადაცემას.

დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნით,³⁹ 45,619,988 ლარად შეფასებული სს „აკურას“ ქონების ნაწილი⁴⁰ შეტანილ იქნა შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“

³⁴ ინდ. მეწარმე, დამოუკიდებელი ექსპერტი, აუდიტორი დავით რობაქიძე, ექსპერტიზის დასკვნა N#004/0-4, დ.რ., 30.03.2021წ.

³⁵ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: N 882021001453, 04.01.2021წ., უფლების რეგისტრაციის თარიღი: 31.07.2018წ.

³⁶ ს/კ 74.01.14.221.

³⁷ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 23 აპრილის N626 განკარგულება „2021 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“.

³⁸ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 სექტემბრის N1600 განკარგულება „სს „აკურას“ ზოგიერთი ქონების შპს „მოსავლის მართვის კომპანიისათვის“ გადაცემის მიზნით განსახორციელებელ რიგ ღონისძიებათა შესახებ“.

³⁹ სს „აკურას“ მიერ ინიცირებული აუდიტორული შეფასება - შპს „გა აუდიტ ჯორჯიას“ აუდიტორული დასკვნა (27.09.2021წ.).

⁴⁰ სს „აკურამ“ სახელმწიფოს ჩუქების ფორმით გადასცა აღნიშნული ქონება შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

კაპიტალში,⁴¹ რომელიც სააგენტომ აღიარა 2021 წლის შემოსავალში. ამავდროულად ხარჯში ჩამოწერა სს „აკურას“ არსებული ინვესტიცია თავდაპირველი ღირებულებით, 46,261,311 ლარის ოდენობით.⁴² ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში აღიარებას ექვემდებარება მხოლოდ 641,324 ლარის ოდენობის ხარჯი.⁴³

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო.

2.10 ფლობის შედეგად გაწეული სხვა ზარალი

აუდიტის მიგნება

სამინისტროს აპარატის და სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხულია ვადაგადაცილებული მოთხოვნები სამინისტროს აპარატში - 6,123,850 ლარის,⁴⁴ ხოლო სააგენტოში - 2,446,066 ლარისა⁴⁵ და 243,440 ლარის⁴⁶ ოდენობით.

2022 წლის მოხსენებითი ბარათებისა⁴⁷ და ოქმის⁴⁸ საფუძველზე, სამინისტროს აპარატმა და ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ზემოაღნიშნული მოთხოვნები ჩამოწერეს 2021 წლის ხარჯებში და გადაიტანეს პირობითი აქტივების ანგარიშზე. პირობით აქტივებში გადატანის საფუძველად მითითებულია გარემოებები, რომლებიც სამინისტროს აპარატისთვის და სააგენტოსთვის 2021 წლამდე იყო ცნობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვადაგადაცილებული მოთხოვნები 2021 წლის ხარჯებში ჩამოწერის ნაცვლად, უნდა გასწორებულიყო რეტროსპექტულად წმინდა აქტივების/კაპიტალის საწყისი ნაშთის კორექტირების გზით.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი, სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო.

2.11 არამატერიალური აქტივები

აუდიტის მიგნება

სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 2,105,456 ლარის ოდენობის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტისთვის განკუთვნილი არამატერიალური აქტივები და მათზე წლის განმავლობაში დარიცხული 445,655 ლარის ოდენობის ამორტიზაციის ხარჯი, რადგან ცენტრს 2021 წელს სამინისტროს აპარატისთვის არ გადაუცია აღნიშნული აქტივები.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი, სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

⁴¹ ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს ბრძანებები N1-3/488, 27.09.2021წ.

⁴² სს „აკურას“ სააგენტოსთვის მმართველობის სფეროში გადაცემის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო.

⁴³ სს „აკურას“ აუდიტირებულ (45,619,988 ლარი) და არააუდიტირებულ (46,261,311 ლარი) კაპიტალის ოდენობებს შორის სხვაობა.

⁴⁴ შპს „საქართველოს მელიორაციისთვის“ გაცემული სესხის ძირი - 2,500,000 ლარი, პროცენტი - 177,547 ლარი, პირგასამტეხლო - 3,446,303 ლარი.

⁴⁵ შპს „ალაზნის ველი და კომპანია“ და შპს „ქართული ღვინის იმპერიაზე“ გაცემული სესხების ძირი - 585,500 ლარი, პროცენტი - 12,157

ლარი, პირგასამტეხლო - 1,848,409 ლარი.

⁴⁶ 2004 წელს ვაზის უნიკალური ჯიშების გაშენებისთვის სხვადასხვა ფიზიკურ პირსა და კომპანიაზე წინასწარ გადახდილი თანხებით.

⁴⁷ სამინისტროს აპარატის საფინანსო დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი N491/11, 03.02.2022წ.; სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს საფინანსო-საბუღალტრო სამმართველოს უფროსის მოხსენებითი ბარათი N204-03, 24.02.2022წ.

⁴⁸ სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესთან ჩატარებული თათბირის ოქმი N3, 28.02.2022წ.

2.12 ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის არარსებობა

აუდიტის მიგნება

2014 წლის 29 აპრილის დადგენილების⁴⁹ თანახმად, სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო კრიტიკული ინფორმაციის სისტემის სუბიექტია, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილების თანახმად კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტად სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან ერთად განისაზღვრა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო და სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

2021 წლის ბოლოსთვის სამინისტროში არ არის შემუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი,⁵⁰ ასევე არ არის განსაზღვრული ის აუცილებელი პოლიტიკა და პროცედურები, რაც დადგენილია 2021 წელს მოქმედი შესაბამისი მარეგულირებელი ნორმებით.⁵¹ აღნიშნული გარემოება კი ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულების რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის.

კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი.

2.13 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

აუდიტის მიგნება

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული სააგენტოს წინააღმდეგ 2,653,504 ლარის ოდენობაზე მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ ინფორმაცია, ასევე არ არის შეფასებული დავების სოფლის განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ დასრულების ალბათობა.

სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 115,224 ლარის ოდენობის მიმდინარე სასამართლო დავები აღრიცხული აქვს როგორც პირობითი აქტივების, ასევე პირობითი ვალდებულებების ანგარიშზე.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო.

2.14 შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით

აუდიტის მიგნება

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების თანახმად,⁵² სააგენტოს ფუნქციებში შედის საკუთარ სამოქმედო ტერიტორიაზე ტყით სარგებლობის უფლების განხორციელებაზე კონტროლი, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენას და ოქმის შედგენას.

სააგენტო არ აწარმოებს სამართალდარღვევათა ოქმების ერთიან ბაზას, ასევე 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის

⁴⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 აპრილის დადგენილება N312 „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

⁵⁰ „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4.

⁵¹ სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 18 ოქტომბრის N4 ბრძანება „ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“, მე-3, მე-7 და მე-10 მუხლები; სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 16 ოქტომბრის N7 ბრძანება „ინფორმაციული აქტივების მართვის წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4. აღნიშნული ბრძანებები ძალადაკარგულია 2021 წლის 30 დეკემბრიდან.

⁵² საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის N2-796 ბრძანება „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 3, „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტები.

აღრიცხული 2021 წელს გამოვლენილი და გადახდილი⁵³
სამართალდარღვევების შედეგად გამოწერილი ჯარიმების თანხა.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო.

⁵³ 48,118 ლარი.

3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს, დანერგოს და განაახლოს სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული არსებითი უზუსტობების აღმოფხვრას და მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის სრულყოფილად ასახვას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული
რეკომენდაცია	აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა ინვენტარიზაცია ჩაატარონ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული
რეკომენდაცია	სააგენტოს აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, სსიპ – ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უზრუნველყოს ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისის გამომწვევი მიზეზების დადგენა და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული
რეკომენდაცია	საკითხის კომპლექსურობიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საჭიროა სამინისტრომ, შესაბამის მხარეებთან კოორდინაციით, შეიმუშაოს დეტალური სამოქმედო გეგმა სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვებისა და შემდგომ, მისი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვისათვის.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული
რეკომენდაცია	საქართველოს მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაონ სანქციებთან, ჯარიმებთან და საურავებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა. კერძოდ, სააღრიცხვო პოლიტიკაში დაკონკრეტდეს, რომელი უწყება უზრუნველყოფს მიღებული შემოსავლების აღრიცხვას და შესაბამისი შეფასებების გაკეთებას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული

რეკომენდაცია	საწვავის მარაგების სათანადო კონტროლისა და გადახდილი თანხების ეფექტიანად განკარგვის მიზნით, მნიშვნელოვანია სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეისწავლოს 2018-2020 წლებში გაუხარჯავი მარაგების ნაშთი და დაადასტუროს მათი არსებობა; ასევე მიზანშეწონილია დაინერგოს საწვავის მარაგების მართვის ისეთი სისტემა, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს გადახდილი თანხების არაეფექტიანად ხარჯვის რისკს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტომ შეისწავლოს დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ავანსად გაცემული დებიტორული დავალიანებების არსებობის საფუძვლები, ასევე ფინანსთა სამინისტროსთან და დონორთან კოორდინაციით, ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების საფუძველზე, შეამციროს აღნიშნული მოთხოვნები და გაზარდოს შესაბამისი ხარჯების ან აქტივების მუხლები.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტროს აპარატმა და სსიპ - ღვინის ეროვნულმა სააგენტომ, ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით, შეისწავლოს და შეაფასოს ოთხმხრივი სასესიო ხელშეკრულებების ფარგლებში გაცემული სესხების წარმოშობის საფუძვლები; განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება აღნიშნული თანხები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნებს და იმოქმედოს კანონმდებლობით.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების აღრიცხვასთან დაკავშირებით.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატმა შეაფასოს მუხლში - „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ აკუმულირებული თანხების წარმოშობისა და კლასიფიკაციის სისწორე. ასევე, ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული ფულადი შენატანების ეფექტიანად განკარგვის უზრუნველსაყოფად და შესაბამისი რეაგირების მიზნით, მიზანშეწონილია სააგენტომ შეისწავლოს

ინვესტიციების მიზნობრიობა, დაადგინოს რამდენად მიაღწიეს მათ თავდაპირველ მიზნებს და მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე განსაზღვროს, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული თანხები აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, მათ მიერ სამომავლოდ მოტანილი ეკონომიკური სარგებლისა და მომსახურების პოტენციალის გათვალისწინებით.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი

სამინისტროს აპარატი – შესრულებული

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო – შეუსრულებელი

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა უზრუნველყონ ინვესტიციების აღრიცხვა კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, სამინისტრომ განიხილოს სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადად სამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი ან საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების საბოლოო ნაშთი დააკორექტიროს წინა წლებში არსებული თანხობრივი, ქონებრივი და წილობრივი შენატანებით და გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი

შესრულებული.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული
რეკომენდაციების
შესრულების
მონიტორინგის
პროცესზე
პასუხისმგებელი პირი

თათია ცისკარაული (ელფოსტის მისამართი: Ttsiskarauli@sao.ge)

სახელმწიფო აუდიტის
სამსახურის
რეკომენდაციების
შესრულების
მონიტორინგის
სისტემა

<https://aris.sao.ge/>

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>

<https://www.budgetmonitor.ge/ka>

<http://www.blog.sao.ge/>

<http://www.sai.ge/main/>

<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>

<https://www.youtube.com/user/saogeorgia>

<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE